



ქართულ მეცნიერებს უმსხვილეს საერთაშორისო ბაზა ELSEVIER-ზე სრული წვდომა აქვთ

Elsevier – ერთ-ერთი ლიდერი ინტელექტუალური ინფორმაციის პროვაიდერთა შორის, წამყვანი საერთაშორისო ელექტრონული გამომცემლობა, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს უახლეს სამეცნიერო ლიტერატურას, სტატიებს, რეფერატებს, წიგნებს და ა.შ.

Elsevier-ის ინსტრუმენტები:

Science Direct – ელექტრონული პლატფორმა, რომელიც მოიცავს 12-მილიონიან მონაცემთა ბაზას, 3500 აკადემიურ სტატიას და 34 000 ელექტრონულ წიგნს.

Funding Institutional (SciVal Funding) – მკვლევარებისთვის დაფინანსების სქემების და შესაძლებლობების მოძიების დამხმარე ინსტრუმენტი.

Scopus – ბაზა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, განისაზღვროს კონკრეტული მკვლევრის სამეცნიერო პროდუქტიულობა ციტირების და h ინდექსის დათვლის გზით.



შოთა რუსთაველის სახარტავლოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA



მსოფლიოს უმსხვილესი სა-მეცნიერო ბაზა ELSEVIER-ის საქართველოს კონსორციუმის წევრთა რაოდენობა 21-დან 55-მდე გაიზარდა – მეცნიერებს უმსხვილეს საერთაშორისო ბაზა ELSEVIER-ზე სრული წვდომა ექნებათ.

ქართველი მეცნიერებისთვის, მკვლევარებისთვის, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი გახდება მთელ მსოფლიოში გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა არა მხოლოდ მოკლე ანოტაციების, არამედ შრომების სრული ვერსიების სახით.



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, ბატონი მიხეილ ბატიაშვილი განათლების სფეროში მოღვაწე საზოგადოებას მეცნიერებისა და განათლების ხელშეწყობის მნიშვნელობაზე ესაუბრება.

ინფორმაციით კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის. საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომა მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებისთვის, ისე მეცნიერების მართვის სფეროს გასაუმჯობესებლად.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზვიად გაბისონიამ აღნიშნა, რომ ამჟამად რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი აქტიურად მუშაობს საქართველოს პანევროპულ პროგრამა EURAXESS-ში განვერტიანებისთვის.

ღონისძიებას ესწრებოდნენ Elsevier-ის კონსორციუმის წევრები – საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები.

ინვესტიციაა მეცნიერების განვითარებაში, რადგან ეს ბაზები უზრუნველყოფს ამ სფეროში მოღვაწე მომავალი თაობის მეტ ჩართულობას მსოფლიოში მიმდინარე სამეცნიერო პროცესებში. მინისტრმა მადლობა გადაუხადა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურ დირექტორს – ზვიად გაბისონიას ამ მნიშვნელოვანი პროექტის წარმატებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის და აღნიშნა, რომ შემდეგი ნაბიჯი საქართველოს მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებისთვის პანევროპულ პროგრამა EURAXESS-ში ქვეყნის განვერტიანება იქნება.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზვიად გაბისონიამ წარმოადგინა პრეზენტაცია საქართველოში აკრედიტებულ ყველა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ინტელექტუალური ინფორმაციის ლიდერი პროვაიდერის – Elsevier-ის სამეცნიერო ბაზებზე სრული წვდომის მნიშვნელობისა და მიზნების შესახებ, რაც მეცნიერებს, სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს, უსასყიდლოდ ისარგებლონ მსოფლიოში გამოქვეყნებული უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით და მათთვის მნიშვნელოვანი

„მეცნიერების განვითარება ქვეყნის წარმატებული მომავლის საუპქვედია“

– შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი პროფ. ზვიად გაბისონია.



სამეცნიერო წრეები საქართველოში, ძირითადად, 2 სამეცნიერო ბაზას იყენებენ: Elsevier-ის პლატფორმას, რომელშიც რამდენიმე საერთაშორისო ბაზაა ინტეგრირებული, მათ შორის, Scopus, Science Direct და ა.შ., ასევე, Clarivate Analytics-ის ვებგვერდს. იმდენად, რამდენადაც ავტორიზაციის



ქართველი მეცნიერები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში Elsevier-ის თემაზე ჩატარებულ პრეზენტაციაზე.

სტანდარტი თანაბარ სამეცნიერო ვალდებულებებს წარუდგენს როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს – სახელმწიფო უნივერსიტეტებს, ისე კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მათ თანაბარი წვდომა ჰქონოდათ Elsevier-ის სამეცნიერო ბაზებზე. სახელმწიფო დაფინანსება გაიზარდა და დღეს საქართველოს ყველა ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებელს, მეცნიერს, პროფესორს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს და, რაც მთავარია, ყველა სტუდენტს შეუძლია უფასოდ და შეუფერხებლად ისარგებლოს ამ ბაზაზე თავმოყრილი სამეცნიერო ლიტერატურით. Elsevier-ის ბაზაში განთავსებულია 30 000-მდე წიგნი და 2500 ჟურნალი, რომლებიც ყოველწლიურად ქვეყნდება 430 000-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია – ბაზაში სულ, დაახლოებით, 13 მილიონი სამეცნიერო დოკუმენტია განთავსებული.

ჩვენი ამოცანაა, სტუდენტებს მივცეთ რაც შეიძლება მეტი საშუალება, ჰქონდეთ წვდომა სამეცნიერო პუბლიკაციებზე, რათა, საბოლოოდ, მათ ნაწილს მაინც გაუჩნდეს სურვილი, გაჰყვნენ მეცნიერებას – ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, გაეცნონ მსოფლიო მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს, კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით და

მათ შედეგებს. დღეს მეცნიერების განვითარება წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურაზე წვდომის გარეშე. სამეცნიერო ლიტერატურა, ზოგადად, ძვირადღირებულია; წარმოდგენილია, საქართველომ ამ მოცულობის ლიტერატურა შეიძინოს. თანამედროვე მსოფლიოში არც არის ამის აუცილებლობა, რადგან არსებობს ინტერნეტი და ონლაინ-სისტემები. ამიტომ სახელმწიფომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო პლატფორმა შეიძინა და ახლა ყველა უმაღლეს სასწავლებელს მასზე თავისუფალი წვდომა აქვს, რაც აქამდე ასე არ ყოფილა. შარშან ვაფინანსებდით მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტებს, სულ 21 დაწესებულებას, ახლა კი – 55-ს, მათ შორის კერძო უმაღლეს სასწავლებლებსაც, ყველას, ვინც განაცხადი გააკეთა და კანონმდებლობის ჩარჩოში ჩაჯდა. ამჟამად Elsevier-ის კონსორციუმი მოიცავს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, კვლევით ცენტრებს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს.

სამომავლოდ ვფიქრობთ Clarivate Analytics-ის შეძენაზეც, ბუნებრივია, ამას მუშაობა და სახელშეკრულებო პირობებზე შეთანხმება სჭირდება; ამავე დროს, ყოველი წლის ბოლოს ჩვენ გავაკეთებთ ანალიზს და ვნახავთ, როგორ გამოიყენება ეს ბაზები იმისათვის, რომ საბოლოოდ ვიცოდეთ, რომელ ბაზას მივანიჭოთ უპირატესობა.

შესაბამისად, ჩვენ გვჯერა, რომ ამ ყველაფრის შედეგად საქართველო ყველაზე ძლიერ პოზიციას დაიკავებს მეცნიერების მიმართულებით მთელ აღმოსავლეთ ევროპაში. მით უმეტეს, რომ ჩვენი სტატისტიკის თანახმად, არც ერთი სხვა ქვეყნის სახელმწიფო არ ყიდულობს ასეთ ძვირადღირებულ სამეცნიერო ბაზებს და არ ჩუქნის უნივერსიტეტებს. განათლებისა და მეცნიერების ხელშეწყობა სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტია, რადგან მიგვაჩნია, რომ განათლებისა და მეცნიერების განვითარების გარეშე საქართველოს წარმატებული მომავალი ვერ ექნება. მე მჯერა, რომ განათლებას და ცოდნას მივყავართ თავისუფლებამდე.



ჩვენ მიერ განხორციელებული ამ ინოვაციის საბოლოო მიზანია ქართული მეცნიერების მეტი ინტეგრაცია საერთაშორისო სივრცეში, რაც ხელს შეუწყობს ქართველი მეცნიერების კონკურენტუნარიანობისა და მობილობის ამაღლებას, კვლევების კომერციალიზაციას დასავლეთის გამოცდილების გაზიარებით და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. სწორედ განათლებისა და მეცნიერების სფეროს განვითარება და ინტელექტუალური კაპიტალის გაძლიერება ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის საფუძველი, – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, პროფ. ზვიად გაბისონია.

„ღვთა საგნისიერო სფეროში წარმატების მიღწევა შეუძლებელია ELSEVIER-ის ბაზასთან წვდომის გარეშე“

– მიხეილ ჩიხრაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი



საერთაშორისო სამეცნიერო ქსელი Elsevier-ი, რომელიც უმდიდრეს სამეცნიერო ბაზებს ფლობს, სამეცნიერო ლიტერატურის

ღონისძიებას ესწრებოდნენ Elsevier-ის კონსტრუქციუმის წევრები – უმაღლესი სასწავლებლების, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და საქართველოს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლები.

უმსხვილესი გამოცემლობა და სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინფორმაციის მთავარი წყაროა მსოფლიოში.

Elsevier-ის ბაზების გამოყენება ეხმარება სტუდენტებს, უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალს, მეცნიერებს, ინოვაციური ტექნოლოგიებით დაინტერესებულ კერძო პირებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს, მოიძიონ და უმოკლეს დროში მიიღონ უახლესი ინფორმაცია სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში არსებული ახალი შედეგებისა თუ მიღწევების შესახებ.

ამასთან ერთად, ბაზა შესაძლებლობას აძლევს და ეხმარება სახელმწიფო სტრუქტურებს, ექსპერტებსა და მეცნიერების დაფინანსებისთვის შექმნილ სამეცნიერო ფონდებს, რომ უახლეს ინფორმაციაზე დაყრდნობით შეძლონ დასაფინანსებლად წარდგენილი სამეცნიერო პროგრამებისა და საპროექტო განაცხადების სრულფასოვანი ექსპერტიზა, მიიღონ მონაცემები ცალკეულ აპლიკანტთა რეიტინგებისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის შესახებ.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დღეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საინჟინრო, ნოვატორულ სფეროში წარმატებული საქმიანობა შეუძლებელია აღნიშნულ ბაზასთან წვდომისა და მისი გამოყენების გარეშე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ძალისხმევით, 2014 წლიდან საქართველოს მეცნიერების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ნაწილს შესაძლებლობა მიეცა, უფასოდ ჰქონოდა წვდომა Elsevier-ის სამეცნიერო ბაზასთან; ძალზე სასარგებლო და მისასალმებელია ის გარემოება, რომ 2019 წლის ხელშეკრულების გაფორმებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოდან იმ ინსტიტუციების რიცხვი, რომელთა თანამშრომლებსაც შეეძლებათ ბაზაში მუშაობა.

ეს შესაძლებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა, დამწყები მეცნიერებისთვის, კონკურენტუნარიანი საპროექტო განაცხადების მომზადების, კარიერული წინსვლისა და სამეცნიერო წრეებში ცნობადობის გაზრდის მიმართულებით. პირადი

გამოცდილების საფუძველზე შემოიღია დავადასტურო, რომ უკანასკნელ წლებში სხვადასხვა კონკურსში მიღწეული შედეგები, ნარმატიული აკადემიური საქმიანობა და რეიტინგებში წინსვლა ძირითადად აღნიშნულ ბაზასთან წვდომამ და მის გამოცემებში ავტორთა ჯგუფებთან ერთად სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებამ განაპირობა. – პროფ. მიხეილ ჩიხრაძე.

„სამეცნიერო ბაზაზე წვდომა სტუდენტებს სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების მხარეზე უსაძლებლობას გვაძლევს“

– ქეთევან გორგაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის / კურსის სტუდენტი



ღირებული სამეცნიერო ნაშრომის შესაქმნელად უმნიშვნელოვანესი პირობა სანდო წყაროზე დაფუძნებულ ინფორმაციასთან წვდომის შესაძლებლობაა. Elsevier-ის სამეცნიერო ბაზებზე წვდომა სწორედ ამ შესაძლებლობას იძლევა. კონკრეტული სამეცნიერო ბაზების საშუალებით მეცნიერებისა და მკვლევარებისთვის იქმნება ეფექტური საინფორმაციო სივრცე, რომლითაც მარტივდება უკვე ჩატარებული კვლევის შედეგების ძიება და ანალიზი. კვლევის პროცესში საკვლევი თემის შესახებ სხვათა გამოცდილების გაზიარება და მიღწეული შედეგების გაცნობა ნებისმიერი მკვლევარისთვის უმნიშვნელოვანესი ინფორმაციაა.

მაგალითად, Scopus-ის სამეცნიერო ბაზაში თავმოყრილია ელექტრონული ჟურნალები,



ქვეყანაში აკრედიტებულ ყველა უმაღლეს სასწავლებელს – ჩომოს სახელმწიფოს, ისე კენძოს უკვე აქვს შესაძლებლობა, ჩაერთოს უმსხვილესი საერთაშორისო ბაზის – ELSEVIER-ის სისტემაში.

ინგნები, ინფორმაცია პატენტებისა და კონფერენციების შესახებ. შესაბამისად, თემის განსაზღვრის შემდეგ ბაზაში საკვლევ საკითხთან დაკავშირებული უამრავი ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი, რაც, თავის მხრივ, გლობალურ სისტემასა და მეცნიერთა ერთიან ქსელში ინტეგრირებისა და აქტუალური საკითხების დამუშავების შესაძლებლობას ქმნის.

სამეცნიერო ბაზების გამოყენება უმაღლესი განათლების პირველივე საფეხურიდან უნდა იყოს პრიორიტეტული. თითოეული ბაზის მოხმარებისას მეტ-ნაკლებად მსგავსი პრინციპებია გასათვალისწინებელი. საწყისი ეტაპიდანვე ღირებულ სამეცნიერო ნაშრომებზე წვდომის შესაძლებლობა სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის შანსებსაც იძლევა. გარდა ამისა, სტუდენტებს სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების შესაძლებლობა გვიჩნდება. საბაკალავრო ნაშრომი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის მოსამზადებელი ეტაპია, სამაგისტრო – სადოქტორო ნაშრომისა და ასე იქმნება ერთგვარი საფეხურები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი უნარების პოტენციალთან. ამ კომპეტენციის განვითარებაში მნიშვნელოვან ფუნქციას სამეცნიერო ბაზები ასრულებს.

სამაგისტრო ნაშრომი მომავალ წელს უნდა დავიცვა და, ვფიქრობ, Elsevier-ის სამეცნიერო ბაზების საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია დიდწილად განაპირობებს ჩემი ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებას, – მაგისტრატურის სტუდენტი, ქეთევან გორგაძე.